პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 236 (9647) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისში დამთავრდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელ ტანმოვარჯიშეს ნატო ლეშქაშელს, რომელმაც უძლიერესის სახელი მოიპოვა.

შეხვედრა ჩემპიონთან

ამ დღეებში საქართველოს სპორტსახლში შეხვედრა მოეწყო სამბოქსო ცოლქორწილის ჩემპიონ ჯემალ მუქელოშვილს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ჯ. მუქელიშვილის სერიოზული დამოკიდებულება საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის მზადებისადმი.

ჩემპიონმა აღნიშნა, რომ ძალღონეს არ დაზოგავს კვლავაც ასახელოს რესპუბლიკა, ღირსეულად დაიცვას საბჭოთა სპორტის ინტერესები საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მათ ასახელეს რესპუბლიკა

როგორც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ელვა-ინფორმაციით გაუწყეთ, საქართველოს წარგზავნილებმა წარმატებით იასპარეზეს საერთაშორისო სპორტულ არენებზე.

ანა როსტიაშვილი

ანა როსტიაშვილი — მრთალერთი გამარჯვებული

ლონდონი. ეს მისი პირველი დიდი გამარჯვებაა ამ რანგის საერთაშორისო ტურნირებში. თბილისელმა ანა როსტიაშვილმა ბრწყინვალედ იასპარეზა კოშკიდან წყალში ხტომაში, დააგროვა 410,55 ქულა და ბევრი სახელოვანი სპორტსმენი ჩამოიტოვა. ვაჟთა შორის ამ სახეობაში სარატოველმა სერგეი ეფრემოვმა მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა — 530,46 ქულა. აქ პირველი ადგილი ინგლისელ რობერტ მორგანს ხვდა — 599,31 ქულა.

ანა როსტიაშვილი საბჭოთა სპორტსმენებს შორის ერთადერთი გამარჯვებული იყო, და ეს ახალგაზრდა მხტომელის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს, ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები პრიზიორთა შორის ვერც მოხვდნენ. სხვებზე უკეთესი შედეგი ტატიანა კობილინას ჰქონდა — V ადგილი (428,10 ქულა). პირველი ადგილები კი მოიპოვეს: ქალებში გაო მინმა (ჩინეთი) — 560,16 ქულა, ვაჟებში — რონ მაიერმა (აშშ) — 654,69 ქულა.

„დინამო“ გამარჯვებისათვის იბრძოლებს

ინტერვიუ გერმან ზონინთან

დღეს თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე შედგება უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „დინამოსა“ და დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბრემენის ცნობილ კლუბ „ვერდერს“ შორის.

ამ მეტად საინტერესო, საპასუხისმგებლო მატჩის პრეისტორია უკვლამ კარგად იცის. ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე მერვედფინალის მატჩები უკვე დამთავრდა, ამ ორ ტურნირში სსრ კავშირიდან მონაწილეობას განაგრძობს მინსკის „დინამო“ (თასების მფლობელთა თასი). ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 1988 წლის გაზაფხულზე, უეფა-ს თასის მონაწილეთა რაოდენობა ყოველთვის ორჯერ მეტია, ამიტომაც ყოველი წლის შემოდგომით იმართება ერთი ტურით მეტი და მხოლოდ ამის შე-

იხ. მე-3 გვ.

მსოფლიო ჩემპიონთა უპირატესობით

დეკემბერი მოჰიდავეთა საერთაშორისო კალენდარში განსაკუთრებით აქტიური თვეა. წლის ბოლოს ევროპის ბევრ ქვეყანაში საერთაშორისო ტურნირები ტარდება, რომლებიც ერთგვარად აჯამებენ სეზონის შედეგებს.

ერთი ასეთი ტრადიციული შეჯიბრება კლასიკური სტილის მოჰიდავეთა შორის შვეიცის ქალაქ პაპარანდაში გაიმართა. გუნდური გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრებს ხვდა, პირადში კი ტურნირის მთავარი პრიზები მსოფლიო ჩემპიონებმა, თბილისელმა გურამ გედეხაურმა (100 კგ), ომსკელმა ვლადიმერ პოპოვმა (90 კგ) და ყარაგანდელმა იგორ როსტოროცკიმ (130 კგ) დაისაკუთრეს.

კიდევ ორი წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს საბჭოთა ათლეტები შეხვდნენ. ომსკელმა ალექსანდრე იგნატენკომ (82 კგ) მოსკოველი ვლადიმერ ოსტროუმოვი დაამარცხა, მოსკოველმა ვალერი პერმინოვმა კი (62 კგ) — როსტოველი კამალ მუსაევი. იგნატენკო და პერმინოვიც ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. 74 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი კიეველ ალექსანდრე კონდრაცკის ხვდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მას ევროპის ექსჩემპიონმა, შვედმა როგერ ტალროტმა აჯობა.

თავისუფალი სტილის მოჰიდავეები ხმელთაშუაზღვის საკურორტო ქალაქ ნიცაში (საფრანგეთი) მეცადინეობენ ცდიდნენ ძალებს. შეჯიბრება ცნობილი ფრანგი მოჰიდავის ანრი დეგლანის ხსოვნას მიეძღვნა. ამჯერად ბრძოლა მხოლოდ ოთხ წონაში ტარდებოდა. საბჭოთა ათლეტთაგან პირველი ადგილები დაიკავეს მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა სანსარ ოჰანესიანმა (90 კგ) და მახაჩყალელმა გამზათ ხაზამოვმა (68 კგ). მეორე ადგილზე გავიდა სტეფანე სარქისიანი (68 კგ, დამარცხდა ამერიკელ პიტერ იოცოსთან), მესამეზე — ხიზრი მამაევი (74 კგ, ამ წონაში პირველი ადგილი ფრანგმა ბრუნო ბედემ მოიპოვა).



გურამ გედეხაური

ნიცაში პარალელურად კლასიკური სტილის ათლეტებიც ასპარეზობდნენ. აქ გამარჯვება გროდნოელ ალექსანდრე შესტაკოვს (62 კგ), მინსკელ კომანდარ მაჯიდოვს (68 კგ), უფელ მოჰამედ-რასულ ბატალოვს (74 კგ) და გომელელ დიმიტრი გრომიკოს (82 კგ) ერგოთ.

რუსუდან ბოფერია — ბრინჯაოს პრიზიორი

ბრაგა (პორტუგალია). ასეთი წარმატება სპორტში იშვიათია. საბჭოთა კავშირის ბატუტისტებმა ევროპის ჩემპიონატზე ყველა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ბუნებრივია, გუნდური გამარჯვება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის სწორედ ჩვენს სპორტსმენებს დარჩათ. ვაჟთა ნაკრებმა 198,20 ქულა დააგროვა, ქალთა გუნდმა კი — 191,60 ქულა.

ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მთავარი პრეტენდენტები პირად ჩათვლაშიც საბჭოთა



რუსუდან ბოფერია

ბატუტისტები იყვნენ. ქალთა ტურნირში ნიკოლაეველ ელენა კოლმიეცს, ვორონეჟელ ტატიანა ლუშინას და თბილისელ რუსუდან ბოფერიას, ფაქტიურად, არც ჰყავდათ კონკურენტები და ამის გამო მხოლოდ ერთმანეთს ებრძოდნენ. სამივე საბჭოთა სპორტსმენმა მაღალი ტექნიკური მომზადება აჩვენა. მაყურებლებით სავსე დარბაზი ჩვენი მხტომელების გამოსვლას მჭუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ და მათაც არ გააწბილეს იმედები. კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი კოლომიეცმა მოიპოვა, ვერცხლის ჯილდო ლუშინას ხვდა. ჩვენი თანამემამულე რუსუდან ბოფერია ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

ვაჟებში ევროპის ჩემპიონი გახდა ნიკოლაეველი ვადიმ კრასნოშაპკა. ვერცხლის ჯილდოს კრასნოდარელი იგორ ბოგაჩოვი დაეპატრონა, ბრინჯაოს — კიეველი სერგეი ნესტრელიაი.

მაგრამ საბჭოთა ბატუტისტების წარმატება ამით არ ამოწურულა. მათ ოქროსა და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს წ;ვილთა სინქრონულ ხტომებშიც (როგორც ვაჟებთან, ისე ქალთა შორის).

„ვერდერი“ თბილისში

გუშინ საღამოს „ვერდერი“ თბილისში პირდაპირი რეისით ჩამოფრინდა. ოტო რეჰაგელი, „ვერდერის“ უფროსი მწვრთნელი მიხვდა თუ არა, რომ გუნდის დასახვედრად ჟურნალისტებიც მივიდნენ აეროპორტში, უმალვე დაგვთანხმდა სახელდახელო ინტერვიუზე.

◎ როგორი განწყობით ჩამოხვედით თბილისში?

— ჩინებულ ხასიათზე ვართ მეც და გუნდის წევრებიც.

◎ როგორც ცნობილია, ამ მატჩში მაიერი არ ითამაშებს, გადაწყვიტეთ თუ არა შემცვლელის პრობლემა და, საერთოდ, თქვენი გუნდის შემადგენლობაზე რას გვეტყვით?



ოტო რეჰაგელი.

— მაიერის ადგილზე, ცხადია, გამოვნახეთ შემცვლელი, გუნდის შემადგენლობას კი თამაშამდე ერთი საათით ადრე გაგაცნობთ.

◎ როგორი შთაბეჭდილება დატოვეს პირადად თქვენზე თბილისის დინამოელებმა ოქ, ბრემენში?

— თქვენმა გუნდმა კარგად ითამაშა. მე ეს გუნდი მანამდე ორჯერ ვნახე მოსკოვში და მივხვდი, რომ დინამოელები განსხვავებულ, სამხრეთულ ფეხბურთს თამაშობენ.

◎ თქვენ თქვით, რომ კარგ ხასიათზე ხართ, მაინც რითია გამოწვეული კარგი განწყობა?

— შესანიშნავად ვიმგზავრეთ, ამინდი ჩინებულია, მიღება გულისხმიერი...

◎ იქნებ კარგ განწყობაში პირველი მატჩის შედეგსაც გულისხმობთ.

— რატომაც არა. ბოლოს და ბოლოს, ის შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ.

◎ როგორ ფიქრობთ, 2:1 საკმარისია თქვენთვის განმეორებითი მატჩის წინ?

— ამ კითხვაზე და კიდევ სხვა შეკითხვებზე უფრო ვრცლად და თამამად მეორე მატჩის შემდეგ გიპასუხებთ.

ახლა მე მაქვს შეკითხვა: რამდენი მაყურებელი დაესწრება თამაშს? გვკითხა ჟურნალისტებს რეჰაგელმა.

როცა მწვრთნელს ვუთხარით, რომ ყველა ბილეთი თამაშამდე თითქმის ერთი კვირით ადრე გაიყიდა, გაოცდა და დასძინა: რაკი მაყურებელი ასეა დაინტერესებული, შეეცდებით გიჩვენოთ კარგი ფეხბურთი. მოხარული ვართ, რომ თბილისში ჩამოსვლის შესაძლებლობა მოგვეცა.

გუშინვე ბრემენელმა ფეხბურთელებმა „დინამოს“ სტადიონზე საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს.

ჩაიწერა თენგიზ თომაშვილმა.

ჰაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები

რას ნიშნავს კარგი ბაზა?

მესტენდურეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე გუნდურ პირველობას კარგა ხანს ერთადერთი ფავორიტი ჰყავდა — თბილისის ნაკრები. მუდამ პირველ ადგილს იკავებდა და თავის ორიოდე მეტოქეს მხოლოდ მე-2 ადგილისათვის ბრძოლის შანსს უტოვებდა. ეს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად ცალკეულ რეგიონებში არსებული სავარჯიშო პირობებითაც აიხსნება.

მაგრამ ჰაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში აშკარა ფავორიტი მე-2 ადგილზე აღმოჩნდა. ასპარეზობას ზუგდიდის სასროლეთმა უმასპინძლა, სადაც ოსტატობას იმაღლებდნენ გამარჯვებულნი — ზუგდიდელი მსროლელები. აშკარაა, რომ ისინი გონივრულად და ნაყოფიერად იყენებენ საკუთარ ბაზას, რომლის აშენებამ დიდი იმედები ჩაუნერგა არა მარტო ზუგდიდელ სროლის მოყვარულებს, არამედ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებსაც. მათი მოლოდინი კი, ჯერჯერობით მაინც, მართლდება, ზემოხსენებული შეჯიბრების შედეგებიც ამის დასტურია.

თბილისელ მწვრთნელებს კი, კვალიფიციურ სპეციალისტებს, საკუთარ ბაზაზე მუდმივი „ცაიტნოტის“ პირობებში, იქნებ დრო არ ეყოთ ჰაბუკ სპორტსმენთა სათანადოდ მოსამზადებლად, თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ ერთი გუნდის გამარჯვება ყოველთვის არ ნიშნავს მეორის მარცხს, აქ ობიექტურ საზომად მსროლელთა შედეგები უნდა გამოვიყენოთ.

ვიდრე შედეგებზე ვისაუბრებდეთ, სხვა გუნდებზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. მესამე ადგილი დაიკავეს მახარაძის წარმომადგენლებმა. ქუთაისელები ბოლო, მეოთხე ადგილზე დარჩნენ. დიახ, ზუგდიდის სასროლეთზე, სულ ოთხი გუნდი ასპარეზობდა, აჭარიდან რატომღაც ერთი მსროლელიც არ ჩასულა, თუმცა იქ სასროლეთიც არის და მსროლელთა ჯგუფებიც, რომლებიც „დინამოს“ ეკუთვნის. სპორტის ოსტატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

სულ სხვა სურათია მრგვალ სტენდზე. აქ ვერც ერთმა ჰაბუკმა და იუნიორმაც კი ვერ შეძლო თუნდაც I თანრიგის შესაბამისი შედეგის ჩვენება — მონაწილენი მე-2 და მე-3 თანრიგის ნორმატივებს დასჯერდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მსროლელთა ამ ჯგუფს უპერსპექტივოს მაინც ვერ ვუწოდებთ. მაგალითად, რამდენიმე მათგანმა გაცილებით უკეთესად იასპარეზა მესტენდურეთა საკავშირო ჩემპიონატში. შედეგების ასეთი სხვაობა თვით ახალგაზრდა მსროლელებს შორისაც კი, ცხადია, საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ შეშფოთებას ბადებს, თუმცა იმის იმედი გვაქვს, რომ სპორტსმენები ამ მნიშვნელოვან ტურნირებს უკეთესად მომზადებულნი შეხვდებიან.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ქრონიკალური

ჰაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. **ადგილიდან სროლა.** 1. გ. ქიშმარეიშვილი (თბილისი) — 181 ქულა; 2. ზ. ფარცვანია (ზუგდიდი) — 167; 3. დ. ცომაია (თბილისი) — 165.

მრგვალი სტენდი. 1. ა. ერქომაიშვილი (მახარაძე) — 170; 2. დ. სოსელია — 163; 3. გ. სოსელია (ორივე — ზუგდიდი) — 161.

გუნდური. 1. ზუგდიდი — 260 ქულა; 2. თბილისი — 239; 3. მახარაძე — 189; 4. ქუთაისი — 80.

იუნიორთა რესპუბლიკური პირველობა. **ადგილიდან სროლა.** 1. ს. ანდრეევი — 190; 2 მ. გუბიევა — 184; 3. ზ. ზანდარაშვილი (ყველა — თბილისი) — 181.

მრგვალი სტენდი. 1. ლ. ასეიშვილი — 169; 2. ბ. ბარათაშვილი — 169; 3. ი. ჯანჯღავა (ყველა — თბილისი) — 161.

P.S. ჰაბუკთა შეჯიბრების გარდა ზუგდიდში უკანასკნელ ხანს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებიც გაიმართა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების პირველობაზე ზაზა ზანდარაშვილმა ადგილიდან სროლაში 134 ქულა მოაგროვა (150 შესაძლებლიდან) და იუნიორთა შორის II ადგილი დაიკავა. აქვე ვიტყვით, რომ ახლახან დამტკიცდა ქვეყნის ნაკრების სია, სადაც იუნიორთა გუნდის შემადგენლობაში ეს სპორტსმენიც არის შეყვანილი. მოზრდილთა ნაკრებში არიან თამაზ იმნაიშვილი და გია შენგელია, ხოლო არჩილ საბედაშვილი ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოვა.

სწორედ ამ მესტენდურემ ისახელა თავი ზუგდიდში გამართულ დინამოელ მსროლელთა ასპარეზობაში, რომელიც ორი საფეხურისაგან შედგებოდა; ერთდროულად ჩატარდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი და ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ის დინამოელთა მატჩი. არჩილ საბედაშვილმა (თბილისი) ადგილიდან სროლაში 225 შესაძლებლიდან 213 თეფში დაამსხვრია და ორივე შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

საინტერესო ამბების საუკუნოში

სულ მალე ჩვენი მეზობელი ქვეყანა ფინეთი ზეიმით აღნიშნავს დამოუკიდებლობის 70 წლისთავს. 1917 წლის სახალხო კომისართა საბჭომ, ვ. ი. ლენინის წინადადებით, პირველმა ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა.

და აი, დღეს, როცა ფინელები თვალს ავლებენ განვლილ წლებს, რასაკვირველია, გაიხსენებენ თავიანთ პრეზიდენტებსაც, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. მათ შორის არის ურხო კალევო კეკკონენი.

ამას წინათ, ჰელსინკში ყოფნის დროს, პრეზიდენტის სასახლის დათვალიერებისას, სწორედ მასზე ჩამოვარდა სიტყვა.

თურმე, ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი ურხო კალევო კეკკონენი სპორტის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა.

თუმცა ჯერ ორიოდე სიტყვა თვით პრეზიდენტის სასახლეზე, რომელიც ჰელსინკის სავაჭრო მოედანზე მდებარეობს. თვით მოედანი თავისი განიერი ნაწილით უერთდება სამხრეთ ყურის სამგზავრო ნავსადგურს, სადაც დგანან პატარა სამგზავრო გემები, კატარღები და მეთევზეთა ნავები. აქ ეწყობა ბაზრობა, რომელიც თურმე, კარგად მოჩანს პრეზიდენტის სასახლიდან. ზუსტად 12 საათზე ბაზარი იკეტება, მოედანი ირეცხება და ტრანსპორტი იწყებს მოძრაობას. და მაშინ, თუ ამინდი კარგია, პრეზიდენტი სასეირნოდ გამოდის სასახლის მოედანზე.

ურხო კალევო კეკკონენსაც ჩვევად ჰქონდა სასახლის მახლობლად მცირე ხნით გასეირნება.

როგორც ცნობილია, ფინეთის ამ პრეზიდენტმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში დიდი ამაგი დასდო ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური განწყობილების შექმნასა და განმტკიცებას.

1959 წელს ლენინგრადში ჩამოსულმა ურხო კალევო კეკკონენმა თავის სიტყვაში „ვლადიმერ ილიას



ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის პაავო ნურმის ბრინჯაოს სტატუი ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის მახლობლად.

ძე ლენინის ხსოვნისათვის“, აღნიშნა: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ფინეთის ხალხის ისტორიაში. ეს როლი გადამწყვეტი იყო, რადგან ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა წინა პირობები დამოუკიდებელი ფინეთის სახელმწიფოს შესაქმნელად. ამის გამო ჩვენ, ფინელები ღრმა მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალულნი ოქტომბრის რევოლუციისადმი და იმ დიდი ადამიანისადმი, რომელიც მას სათავეში ჩაუდგა... ფინელების ხსოვნაში მარადიულად დარჩება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე, ადამიანისა, რომელმაც პატარა ხალხს ხელი გამოუწოდა. ფინეთის ხალხი არასოდეს დაივიწყებს ამას“.

კეკკონენი 5 წლის განმავლობაში მინისტრი იყო (1936-1939 და 1944-1946 წლები), 5 წელი (1950-1953 და 1954-1956 წლებში) — პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტის პოსტზე კი 25 წელიწადი (1956-1981) დაჰყო.

1981 წლის ბოლოს კეკკონენი სერიოზულად გახდა ავად და 1982 წლის 27 იანვარს მან დასტოვა სახელმწიფოებრივი გემის „ფინეთის“ კაპიტნის ადგილი, სადაც ყოველგვარი ამინდის პირობებში უცვლელად იდგა 9500 დღის განმავლობაში.

ურხო კალევო კეკკონენი 14 წლის იყო, როცა სპორტმა გაიტაცა. იგი შევიდა ახალგაზრდულ სპორტულ საზოგადოებაში „ნაპერწკალი“. 17 წლისა უკვე საგუბერნიო სპორტული გაერთიანების გამგეობის წევრია, ხოლო 19 წლის — მშობლიური პატარა კლუბის პრეზიდენტი. კაიანის ოლქში კეკკონენი რეკორდებს ამყარებს 60, 100, 150, 200, 1000 და 1500 მეტრზე რბენაში და პირველია ყველა სახეობაში, გარდა ჭოკით ხტომისა, მეტიც, მან გაიმარჯვა 400 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში.

კეკკონენს თავისებური შეხედულება ჰქონდა ვარჯიშზე. მას მიაჩნდა, რომ ეს სულაც არ იყო საჭირო. შეჯიბრებების წინ ის ისვენებდა — დადიოდა ტყეში და ფსიქოლოგიურად ემზადებოდა, რათა ყოფილიყო კარგ გუნება-განწყობილებაზე და მხოლოდ შეჯიბრების დაწყებამდე 5 წუთით ადრე სტარტის წინ თუ გაივარჯიშებდა.

კეკკონენი ამბობდა, ვარჯიში იმიტომ არ არის საჭირო, რომ იგი ჰკლავს სპორტით მოწიწებულ ბედნიერებას, რადგან სპორტს ლამაზი გასართობიდან მძიმე შრომად აქცევს, ხოლო სპორტსმენს — რეკორდების დამამყარებელ რობოტად. მოგვიანებით, 30-40-იან წლებში, როცა კეკკონენი ფინეთის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა, მართალია, უკვე აღიარებდა, რომ წვრთნა საჭიროა სპორტული შედეგებისთვის, მაგრამ იქვე დასძენდა, წვრთნა საჭიროა მათთვის, ვისაც თვითონ სურს ივარჯიშოსო. თავად კი ისევ „არასავარჯიშო“ მეთოდს ირჩევდა და დარწმუნებული იყო, რომ სპორტისადმი სწორედ ასეთმა იმპულსურმა მიდგომამ შეაძლებინა თავის გამოჩენა სპორტულ შეჯიბრებებში.

ფინეთის ჩემპიონატებში მან პირველი წარმატება (მესამე ადგილი) გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში მოიპოვა (1923 წელი, 175 სანტიმეტრი). მისმა მეტოქემ პაავო ირელმა, რომელმაც იგივე შედეგი აჩვენა, მეორე ადგილი დაიკავა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნახტომი მსაჯებმა უფრო ლამაზად მიიჩნიეს. 1924 წელს კეკკონენი 185 სანტიმეტრზე გადახტა და ფინეთის რეკორდი დაამყარა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი იქვე სტარტი აიღო 100 მეტრზე სირბილში, რომელშიც მეორე ადგილი დაიკავა შედეგით 11,0 წამი და ჩემპიონს მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა. მეორე დღეს კეკკონენი გახდა ფინეთის ჩემპიონი ადგილიდან სიმაღლეზე ხტომაში. აჩვენა 149 სანტიმეტრი, ხოლო სამჭიდში — 9,27 მეტრი. ეს შედეგი დიდხანს ითვლებოდა არაოფიციალურ მსოფლიო რეკორდად.

კეკკონენმა აქტიური გამოსვლები სპორტულ სარბიელზე 1928 წელს დაასრულა, მას შემდეგ, რაც ორი წლის განმავლობაში სრულიად ფინეთის თამაშებში ჩვეულებრივ პიტოლი არ ჰყავდა). მომჩივნებმა მიაღწიეს იმას, რომ ნურმი არ დაუშვეს ოლიმპიურ თამაშებზე, თუმცა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ჩავიდა.

პრეზიდენტი-ჩემპიონი?

ფინეთში ივარაუდეს, რომ იყო „შვეციის ინტრიგა“, რომელმაც ფინეთს სამი ოქროს მედალი დააკარგვინა.

და აი, კეკკონენმა, შეასრულა რა ფინეთის სპორტული საზოგადოების სურვილი, შვეციასთან გაწყვიტა ურთიერთობა სპორტის სფეროში.

30-იან წლებში კეკკონენი იყო ფინეთის სპორტული მოძრაობის აღიარებული და პოპულარული ხელმძღვანელი. მან ბევრი რამ გააკეთა ფინეთის სპორტის განვითარებისთვის, ამავე დროს წარმატებით არმთევდა თავს თავის ფუნქციებს სპორტის, პოლიტიკის დარგში. 1932 წელს ხელმძღვანელობდა ფინეთის დელეგაციას ლოს-ანჯელესში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე, 1938 წელს — ბერლინში, აგრეთვე მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატებზე (1934, 1938 და 1946 წლებში). ამ მოგზაურობის დროს კეკკონენმა მოინახულა აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ურხო კალევო კეკკონენს ღრმა მოხუცებულობამდე არ შეუწყვეტია სპორტთან „მეგობრობა“, თუმცა მისი ინტერესები სპორტისადმი შეიცვალა — შეუყვარდა ნადირობა და თევზაობა საშინ ადგილებში (წყალვარდნილებთან), ფინეთის სპორტის ეროვნული სახეობა — სათხილამურო სპორტი პრეზიდენტობის დროს, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, კეკკონენი ხშირად გადიოდა სასეირნოდ, აწყობდა გადასვლებს დიდ მანძილებზე — ზოგჯერ ათობით კილომეტრებზეც კი, მან თხილამურებით თითქმის მთელი ქვეყანა შემოიარა — სამხრეთიდან უკიდურეს ჩრდილოეთამდე (გაიარა გზა ჰელსინკიდან დაპლანდიამდე). 60-იანი წლების დასასრულს და 70-იან წლებში ზამთრობით იგი დაახლოებით 1000 კილომეტრს გადიოდა.

„სპორტში მე მოვხვდი სავსებით შემთხვევით, თუ ვაღიარებთ, რომ შემთხვევითობა საერთოდ არსებობს“, — ამბობდა კეკკონენი.

მაგრამ ის, რაც კეკკონენმა გააკეთა — ჯერ სპორტში გამოიჩინა თავი, შემდეგ სახელმწიფო სარბიელზე გახდა ლიდერი, ალბათ შემთხვევითობას არ უნდა მიეწეროს. ასეთ „შემთხვევას“ ხშირად მისწრაფება იწვევს, მოთხოვნილება პოტენციის გამოვლენის, უფრო სწორედ, ხალხის და ქვეყნის წინაშე თავის გამოჩენის სურვილი.

ანდრე კარაბელაშვილი.

ხუთი ეტაპის შემდეგ

ვანი (ტელეფონით). მრავალდღიან ველორბოლაში საქართველოს პროფკავშირების ღია პირველობის მეხუთე ეტაპი (დისტანცია 40 კილომეტრი) პროფკავშირების სპორტსაზოგადოების წარმომადგენელმა ვასილ დავიდენკომ მოიგო — 58.09. ამ გამარჯვების შემდეგ დავიდენკომ ხელთ იგდო ლიდერობა. ხუთი ეტაპის ჯამში მისი დროა 8:16.36. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ არმიელი ველოსიპედისტები მამუკა გვარაძე (8:16.51) და ხვიჩა ბარბაქაძე (8:19.51).

ავთანდილ გუნია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია!

30 სექტემბერს დავეწვარი ამხანაგურ შეხვედრას ბეისბოლში საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს შორის. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თამაშმა და გადავწყვიტე ვივარჯიშო სპორტის ამ სახეობაში. გთხოვთ შეატყობინოთ, კონკრეტულად, ვის მივმართო.

126-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ზაზა გოგუა (დაბადებული 1978 წელს).

ანალოგიური შეკითხვით მოგვმართავენ მშენებელი თემურ ცაგარეიშვილი, ექიმი დავით მამუჩიშვილი და სხვები.

ეს წერილი გავაცანით საქართველოს სპორტსაბჭომის სპორტული თამაშების სამმართველოს.

სამმართველოს განმარტება: საქართველოში ჯერჯერობით არ გვაქვს ბეისბოლის სპეციალური მოედანი. ნაკრები გუნდი ვარჯიშობს „ლოკომოტივის“ სტადიონზე. სამწუხაროდ, ჯერ არც მწვრთნელ-სპეციალისტები გვყავს და ესეცაა მიზეზი, რომ სასწავლო ჯგუფებს ვერ ვხსნით. ახლო მომავალში გათვალისწინებულია კადრების მომზადება სემინარებზე, რის შემდეგ შესაბამისი ბაზის გათვალისწინებით გავხსნით ჯგუფებს მსურველებისთვის.

„დინამო“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს

დასასრული

მდეგ გამოვლინდებიან მეოთხედფინალის მონაწილენი, ეს ეტაპი კი, აგრეთვე, 1988 წლის გაზაფხულზე ჩატარდება.

უეფა-ს თახის ოთხი მონაწილიდან ხაბჭოთა კლუბებს შორის გათამაშებას შემორჩა მხოლოდ ერთი — თბილისის „დინამო“. თბილისელებმა პირველი მატჩი ბრემენში ანგარიშით 1:2 წააგეს „ვერდერთან“. ეს პერსპექტიული შედეგია, ვინაიდან საკმარისია დინამოელებმა დღეს შინ ანგარიშით 1:0 გაიმარჯვონ და მეოთხედფინალშიც ისინი გავლენ. 2 ბურთით გამარჯვება, როგორიც არ უნდა იყოს ანგარიში, დინამოელებს აგრეთვე მოუტანს მეოთხედფინალის ბაგზურს. მაგრამ, როგორც ხედავთ, თბილისის „დინამოს“ აუცილებლად ეხაჭიროება გამარჯვება, თუმცა, მხოლოდ გარკვეული ანგარიშით. თუ, ვთქვათ, ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა, მაგრამ ანგარიშით 3:2 ან 4:3 და ა. შ., ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალის ბაგზურს „ვერდერი“ გაინაღდებს. სწორედ ამიტომაა, რომ დღევანდელი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ბრემენის „ვერდერს“ შორის მეტად რთული და პასუხსაგებია, ჩვენმა ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობით უნდა იბრძოლონ სწორედ იმ შედეგისთვის, რომელიც მათ გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლებას მოუტანს.

თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ბერძან ზოლნიმა ინაუგურაციო პრესის წარმომადგენლებთან და შემდეგი განაცხადა:

— უეფა-ს თასზე თბილისის „დინამომ“ წლეულს უკვე დაამარცხა ორი მეტოქე — სოფიის „ლოკომოტივი“ (1:3, 3:0) და ბუქარესტის „იქტორია“ (2:1 და 0:0), ჩვენი შემდგომი მეტოქეა ბრემენის „ვერდერი“, რომელთანაც მის მინდორზე ურიგოდ არ გვითამაშია. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო ცხოვრება უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ჩვენს ქვეყანაში შეწყდა და თბილისის „დინამოსთვის“ მეტად საჭირო სათამაშო პრაქტიკის შესავსებად დაგვჭირდა შესაბამისი კლასის მეტოქეთა ძებნა. ასეთებად რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების წარმომადგენლები მივიჩნიეთ. პირველად შევხვდით რუსთავის „მეტალურგს“ და გავიმარჯვეთ ანგარიშით 3:1, შემდეგ გორის „დილას“, რომელიც მოვიგეთ ანგარიშით 4:0 და, ბოლოს, ბათუმის „დინამოსთან“ გავიმარჯვეთ ანგარიშით 2:0.

ფეხბურთთან დაახლოებულმა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რაოდენ ძნელია მძიმე სეზონის შემდეგ ფეხბურთელთა სპორტული ფორმის შენარჩუნება და ამას მთელი ჩვენი კოლექტივი ენერგიულად ცდილობდა. გუნდის თითოეული წევრი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს, ვინაიდან „ვერდერი“ სწორედ ახლა თავისი სპორტული მომზადების უმაღლეს დონეზე იმყოფება, კომენტარები ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან ეს გუნდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ლიდერია და ეს ამბავი უკვე თავისთავად განსაზღვრავს ბრემენელ ფეხბურთელთა მაღალ კლასს. ჩვენ, მაგალითად, კარგად ვიცით, რომ ეს გუნდი საიერიშო კომბინაციებს ხშირად ღლანგზე იწყებს და ცენტრში ამთავრებს, სადაც მას თავით თამაშის ნამდვილი ოსტატები ჰყავს. მეტოქის ასეთი შეტევების უვნებელყოფა ძალზე ძნელია, ალბათ გეხსომებათ მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩი ბრემენში. „ვერდერის“ სტადიონზე ჩვენ კარგად გავუმკლავდით მასპინძელთა ასეთ შეტევებს, თუმცა, მაშინ ძალიან გაგვიჭირდა, ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შეტევის სადაეები გვეპყრას ჩვენ და არა „ვერდერს“. ვიმეორებ: დღევანდელი მატჩი უაღრესად რთული იქნება, დინამოელები ამას კარგად გრძნობენ და ყველანაირად ემზადებიან უძნელესი ბრძოლისთვის. მცირეოდენი თვითდამშვიდებაც კი შეიძლება სავალალოდ დამთავრდეს. მე საგულდაგულოდ ვაკვირდები დინამოელთა ფსიქოლოგიურ მზადყოფნას საპასუხო მატჩის წინ და ვგრძნობ, რომ ისინი გაწყობილნი არიან საბრძოლველად.

ხშირად მეკითხებიან გაგვიადვილებს თუ არა საქმეს ის, რომ „ვერდერის“ რიგებში დღეს ვერ ითამაშებს წამყვანი ნახევარმცველი ნოიბერტ მაიერი. რა თქმა უნდა, როცა მეტოქეს გამოაკლდება ისეთი წარმმართველი ძალა, როგორიც ეს ფეხბურთელია, ჩვენთვის გარკვეული შეღავათია, მაგრამ „ვერდერს“ სხვა არანაკლებ ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს და, ცხადია, მწვრთნელი ოტო რეჰაგელი მოთამაშეთა ახალ განლაგებას, ახალ სათამაშო გეგმას შემოგვთავაზებს, ეს კი რთული ამოცანების წინაშე დგაყენებს. ამიტომაც ვცდილობთ ინიციატივა ჩვენ ავიღოთ და მეტოქე ვაიძულოთ თვითვე იზრუნოს საპასუხო კონტრთამაშის საძიებლად.

საერთოდ, დღევანდელი საპასუხო მატჩი დიდ ინტერესს იწვევს ევროპის საფეხბურთო წრეებში. მატჩის ტელეტრანსლაცია იწარმოებს კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, დასავლეთგერმანელ ჟურნალისტთა გარდა თბილისში მრავალი სხვა ქვეყნის მიმომხილველებიც ჩამოვიდნენ.

ხშირად მეკითხებიან მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები ჩვენს გუნდში. კვლავ სინანულით აღვნიშნავ, რომ ვერ ითამაშებს მცველი მალხაზ არზიანი. შესაძლოა ნახევარმცველ ოთარ კორღალიძის ნაცვლად დასაწყისში მინდორზე გამოვიყვანოთ თემურ ქეცბაია, ამას ვაკეთებთ გუნდის შემტევი ძალების განმტკიცების მიზნით. მინდა განვმარტო ისიც, ითამაშებს თუ არა დღეს მიხეილ მესხი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკიდან“ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს“ უკვე სსრ კავშირის ჩემპიონის რანგში. მ. მესხი ვერ ითამაშებს იმის გამო, რომ უეფა-ს მიმდინარე ტურნირში იგი უკვე იყო შეყვანილი მოსკოვის „სპარტაკის“ განაცხადში, ამდენად

1987 წლის 25 ნოემბერი. ბრემენი. მხარეები მოედანზე მიუძღვებიან ბრემენის „ვერდერისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს.

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო. (საჭინფორმი).

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე დადგინდა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია გავლილი სეზონის შედეგების მიხედვით.

მეკარეები

1. რ. დასაევი („სპარტაკი“), 2. დ. ხარინი („ტორპედო“), 3. ა. ჟიდკოვი („ნეფთჩი“).

მარჯვენა მცველები

1. ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი) 2. ვ. ლოსევი („დინამო“, მოსკოვი), 3. ს. ბაშკიროვი („დნეპრი“).

უკანა ცენტრალური მცველები

1. ვ. ხიდიატულინი („სპარტაკი“), 2. ვ. სუკრისტოვი („ჟალგირისი“), 3. ს. პრიგოდა („ტორპედო“).

მარცხენა მცველები

1. ე. იაროვენკო („ქაირათი“), 2. ა. ჩერედნიკი („დნეპრი“), 3. ს. იაკუბაუსკასი („ჟალგირისი“).

წინა ცენტრალური მცველები

1. ო. კუზნეცოვი („დინამო“, კიევი), 2. ი. სუსლოპაროვი („სპარტაკი“), 3. ა. ბორისოვი („დინამო“, მინსკი).

მარჯვენა ნახევარმცველები

1. ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“), 2. გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“), 3. ვ. იაკოვენკო („დინამო“, კიევი).

ცენტრალური ნახევარმცველები

1. ს. ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), 2. ვ. პასულკო („სპარტაკი“), 3. ვ. ტიშჩენკო („დნეპრი“).

მარცხენა ნახევარმცველები

1. ი. დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი), 2. ს. გოცმანოვი („დინამო“, მინსკი), 3. ვ. რაცი („დინამო“, კიევი).

მარჯვენა თავდამსხმელები

1. ო. პროტასოვი („დნეპრი“), 2. ს. ბარანაუსკასი („ჟალგირისი“), 3. ი. ბელახოვი („დინამო“, კიევი).

ცენტრალური თავდამსხმელები

1. ა. ზავაროვი („დინამო“, კიევი), 2. ა. მიხაილიჩენკო („დინამო“, კიევი), 3. ი. სავიჩევი („ტორპედო“).

მარცხენა თავდამსხმელები

1. ს. როდიონოვი („სპარტაკი“), 2. ა. ნარბეკოვასი („ჟალგირისი“), 3. გ. კონდრატიევი („დინამო“, მინსკი).

ტელე სანტანა:

„შეშხაპურთიდ არ შემიძლია“

მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას ვერ მიაღწიეს, სპორტულ პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ცნობილმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ტელე სანტანამ საბოლოოდ თავი დაანება ფეხბურთს.

მაგრამ ხმები სწორი არ გამოდგა. ტელე სანტანამ დატოვა ნაკრები, მცირე ხანს შეისვენა და შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დიდ ფეხბურთს. მან ჩაიბარა მინას-ჟერაისის შტატის „ატლეტიკო“ და ამ საშუალო გუნდმა სწორედ მისი მოსვლის შემდეგ ზედიზედ მოიგო 14 მატჩი, ნახევარფინალში გავიდა და ახლა ბრაზილიის ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია.

ბრაზილიის საფეხბურთო წრეებში კვლავ იმაზეა ლაპარაკი ჩაიბარებს თუ არა ტელე სანტანა თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს?

— არა, — განაცხადა ტელე სანტანამ ერთ-ერთ ინტერვიუში, — დიდ ფეხბურთს დავუბრუნდი მხოლოდ იმიტომ, რომ უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია, „ატლეტიკო“ კი იმიტომ ავირჩიე, რომ ოდესღაც სწორედ ამ კლუბს ვავარჯიშებდი, 1970 წელს მან ბრაზილიის თასი მოიპოვა. რაც შეეხება ნაკრებს, ეტყობა, მისი ხელმძღვანელობა არ შემიძლია, ახლაც მძიმედ განვიცდი მის წარუმატებლობას მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში და ჩვენი პრესის მაშინდელი გამძაფრებული კრიტიკაც არ მიმაჩნია მართებულად. მექსიკაში ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, ურიგოდაც არ უთამაშიათ, ხოლო რაც შეეხება იტალიელებთან ფრედ დამთავრებულ მატჩს და დამატებით 11-მეტრიანებით განცდილ დამარცხებას, ფეხბურთში ეს ნორმალური მოვლენაა. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის სერიოზულად და გულდაგულ ვემზადებოდით, ამიტომაც არ ვიმსახურებდით იმ დაცინვას, რაც ჩვენს მიმართ გამოითქვა. არავის არ ვუსურვებ იმას, რაც მე განვიცადე, რაც ჩვენს ფეხბურთელებს მაშინ თავს დაატყდა. ერთი სიტყვით, ნაკრებში ჩემი დაბრუნება შეუძლებელია.

შეკითხვაზე, თუ როგორია ბრაზილიელთა პერსპექტივები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის, მან განაცხადა:

— ბრაზილიას მუდამ შეუძლია ძლიერი გუნდი გამოიყვანოს მსოფლიო ჩემპიონატზე, ასე იქნება ახლაც, მაგრამ საჭიროა საგანგებო მუშაობა ახალგაზრდებთან. ნაკრებს უნდა ჰყავდეს მწვრთნელი, რომელიც ორ-სამ წელს კი არ იმუშავებს ნაკრებთან, არამედ ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაუდგება მას სათავეში და იმის დროც ექნება საფუძვლიანად მოამზადოს გუნდი. მწვრთნელების განუწყვეტელი ცვლა ვნებს საქმეს, მით უფრო ფეხბურთის ტალანტებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც ბრაზილია არის.

ფეხბურთი

ქულები, კოეფიციენტი...

ევროპის 1987-88 წლების საკლუბო ტურნირების სტარტზე, რომლის მატჩები წლეულს შემოდგომით გაიმართა, საბჭოთა კლუბებმა უეფა-ს კლასიფიკაციით 3,866 ქულა დააგროვეს. ამ მაჩვენებლით ლიდერთა სამეულში ვერ მოვხვდით, ვინაიდან იქ დაწინაურდნენ ჰოლანდია (6,0), ესპანეთი (5,4) და საფრანგეთი (5,25).

საბჭოთა კლუბებს შარშან შემოდგომით უკეთესი შედეგი ჰქონდათ — 4,8 ქულა, მაგრამ ბოლო ხუთი წლის სეზონების საერთო მაჩვენებლით (1983-87 წლები) საბჭოთა გუნდების ნაერთი ჯამი (37,216) ჩამორჩება მხოლოდ იტალიის კლუბების მაჩვენებელს (39,249) და საგრძნობლად უსწრებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას (31,665), ესპანეთს (30,399), ბელგიასა (27,400) და სხვა ქვეყნებს.

თუ თბილისის „დინამომ“ მეოთხედფინალში მონაწილეობის საგზური მოიპოვა, მისი შედეგი, რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს ჩვენს საერთო მაჩვენებელს.

„იუვენტუსი“ დასაჯეს

იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომისიამ დაადგინა ქ. ტურინის „იუვენტუსს“ ჩამოერთვას ის 2 ქულა, რომელიც მან მოიპოვა იტალიის ჩემპიონატის მატჩში „ჩეზენასთან“ (2:1).

საქმე ისაა, რომ ამ თამაშის დროს „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ფეხბურთის მინდორზე მაშბალა ისროლა, რომელმაც დაბინა „ჩეზენას“ ერთ-ერთი ფეხბურთელი.

უცხოურ ფეხბურთში ამგვარი რამ პირველი შემთხვევა არაა, არა მარტო ცალკეული კლუბები, არამედ მთელი ქალაქებიც კი ზარალდებიან გულშემატკივართა უდისციპლინობის გამო. ჩვენს მიერ ხსენებულ მატჩში გამარჯვება ანგარიშით 2:0 „ჩეზენას“, მიეკუთვნა, „იუვენტუსს“ გამოაკლდა 2 ქულა, რის შედეგად მან მესამიდან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

საკონტინენტთაშორისო მატჩის წინ

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის II ჯგუფის შესარჩევ მატჩში 5 დეკემბერს ერთმანეთს უნდა შეხვდნენ პორტუგალიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. ამ მატჩს გარკვეული ინტერესით მოელიან, მაგრამ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეროვნული ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანოს შვიდი ფეხბურთელი, რომლებიც „პორტოში“ თამაშობენ.

საქმე ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატის ამ შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა კარგა ხნის წინ გაიანაღდეს პირველი ადგილი, ამიტომაც პორტუგალიისა და იტალიის გუნდების შეხვედრას პორტუგალიელთათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვს, „პორტოს“ კი 13 დეკემბერს ტოკიოში საკონტინენტთა შორისო თასის მატჩი მოელის ურუგვაის „პენიაროლთან“. ამდენად პორტუგალიის ფედერაციის ეს ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება, ლოგიკას მოკლებული არაა.

კუბანი — ხამხრეთ ამერიკისკენ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა გამოაქვეყნა თავისი გუნდის შემადგენლობა, რომელიც ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრება სამხრეთ ამერიკაში. გფრ-ის ეროვნულ ნაკრებში სამი ახალბედა ფეხბურთელია: 21 წლის ფრანკო ფოდა („კაიზერსლაუტერნიდან“), 24 წლის კრისტიან

ხოშტეტერი (მიონხენგლადბახის ბორუსიიდან“) და 23 წლის კლინსმანი („შტუტგარტიდან“). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ამჟამად ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

ამავე დროს ფ. ბეკენბაუერმა ნაკრებში არ მიიწვია ის ფეხბურთელები, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან, ასეთთა შორის კი არიან რუდი ფიოლერი, კლაუს ალოფსი და თომას ბერტოლდი. მწვრთნელის ასეთმა გადაწყვეტილებამ ფეხბურთის მიმომხილველთა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი ძნელი ტურნე უძლიერეს ფეხბურთელთა გარეშე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს.

დასავლეთ გერმანიის ნაკრების პროგრამაში კი ასეთია: 12 დეკემბერს მატჩი ბრაზილიის ნაკრებთან და 16 დეკემბერს — მსოფლიო ჩემპიონთან არგენტინის ნაკრებთან.

სანქციები უდისციპლინობის საწინააღმდეგოდ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში აპირებენ განიხილონ საკითხი იმის თაობაზე, რომ ყოველი სეზონის დასასრულს ქულათა გარკვეული რაოდენობა გამოაკლდეს იმ გუნდებს, რომლებსაც ფეხბურთელთა გაძევებისა და გაფრთხილებათა მეტი რაოდენობა აქვთ ეროვნულ ჩემპიონატში. კერძოდ, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მდივანმა გორდონ ტეილორმა განაცხადა, რომ მხოლოდ ასეთი მკაცრი სანქციებით შეიძლება ბრძოლა იმ დაუშვებელ უნეშობათა წინააღმდეგ, რაც ახლა მეფობს ინგლისურ ფეხბურთში.

— ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში 10 ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან, — განაცხადა გ. ტეილორმა, — სულ კი სეზონის დასაწყისიდან, ე. ი. ბოლო ოთხი თვის მანძილზე, მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელთა რაოდენობამ 113-ს მიაღწია. ეს ფრიად სავალალო მაჩვენებელია, ამიტომაც უხეშობას გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. რახან სხვა ღონისძიებებს შედეგი არ მოაქვს, ვფიქრობთ, კლუბებისთვის ქულების გამოკლება ყველაზე რეალური საშუალებაა.



გარი კასპაროვი — ანატოლი კარპოვის მატჩი შახმატში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის



ოცდამეერთე პარტია

მეტოქეებმა პირველი 13 სვლა მე-15 პარტიის მსგავსად გაითამაშეს. შემდეგ კი მსოფლიოს ექსჩემპიონმა ახალ გაგრძელებას მიმართა და მცირე პოზიციურ უპირატესობას დაეუფლა, მაგრამ კასპაროვმა ზუსტი თამაშით შეძლო მდგომარეობის გაჯანსაღება, მხედრით შეიჭრა ცენტრში და მეტად მნიშვნელოვან d3 უჯრაზე გამაგრდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ხარისხი დათმო, მაგრამ შემდეგ მეტოქეებმა თავი აარიდეს ზედმეტ გართულებებს და დაზავდნენ.

გ. კასპაროვი — ა. კარპოვი

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 ჟg7 5. ლb3 dc 6. ლ:c4 0—0 7. e4 მa6 8. ჟe2 c5 9. d5 e6 10. 0—0 ed 11. ed ჟf5 12. ედ1 ეe8 13. d6 h6 14. ჟf4 მd7 15. ედ2 მb4 16. ლb3 ჟe6 17. ჟc4 მb6 18. ჟ:e6 ე:e6 19. a3 მd3 20. ჟg3 c4 21. ლc2 ეc8 22. ეad1 ლd7 23. h4 f5 24. ე:d3 cd 25. ლ:d3 მc4 26. ლd5 მb6 27. ლd3 მc4 28. ლd5 მb6. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში კვლავ თანაბარია — 10,5:10,5. მატჩის დამთავრებამდე მხოლოდ 3 პარტია დარჩა. კარპოვს ჩემპიონის სახელის დასაბრუნებლად 2 ქულა სჭირდება, ხოლო კასპაროვს ტიტულის შესანარჩუნებლად — 1,5.

მომდევნო, 22-ე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

კაპოვანესი, ცალი, პოლუგაევსკი...

— მატჩი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ მისი საბოლოო შედეგი სრულიად ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, ზოგი სპეციალისტი არ მეთანხმება, მე მაინც ვთვლი, პარტიების ხარისხი მაღალია. კასპაროვმა და კარპოვმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ საჭადრაკო სამყაროში სერიოზული მეტოქე არა ჰყავთ. მოთმინებით მოვუცადოთ მატჩის ბოლო პარტიებს,—განაცხადა სევილიაში მყოფმა ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა.

მეთვრამეტე პარტიის შემდეგ კარპოვმა ჟურნალისტებს განუცხადა:

— ორთაბრძოლის დიდმა ნაწილმა დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, ახლა თუ შეიძლება ასე ითქვას, „პატარა მატჩიდა“ დაგვრჩა სათამაშო, მაგრამ ყველაზე საინტერესო სწორედ ის უნდა გამოდგეს.

მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი რამდენიმე დღით ესტუმრა სევილიას, სადაც მას შვედ დიდოსტატ ულფ ანდერსონის შემდეგ თეატრში შეკრებილ მაყურებელთათვის პარტიების კომენტირება დაეკისრა.

— ჩემი აზრით, ყველაზე შინაარსიანი და საუკეთესო ამ მატჩში მეთხუთმეტე პარტია იყო. ეს მეტად ამაღელვებელი შეხვედრა მძაფრი ბრძოლის შემდეგ მაინც ყაიმით დამთავრდა.

— აქ ჩვენთან ზოგიერთი ლაპარაკობს, რომ მატჩის ერთ-ერთი მონაწილე თქვენი სევილიაში ჩასვლის წინააღმდეგი იყო.

ტალს გაეცინა:

— ასეთ ხმებს ნუ დავუჯერებთ. რომელიმე მონაწილეს რომ „აცილება შოეცა“, მე სევილიაში ვერ ჩამოვიდოდი. ბოლოსდაბოლოს, სულ ერთი კვირა უნდა ვიყო აქ და სამი პარტია გავარჩიო.

დიდოსტატი ლევ პოლუგაევსკი:

— ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, კასპაროვსა და კარპოვს შორის გათამაშებული ოთხი მატჩიდან ეს უკანასკნელი პარტიების ხარისხის მიხედვით ყველაზე უარესია. ეტყობა, გამარჯვებული სულ უკანასკნელ მომენტში გამოვლინდება.

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ მკითხველს აზრი გაუზიარა დიდოსტატმა მარკ ტაიმანოვმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან და სევილიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც კი მიიღო მონაწილეობა:

— მატჩის დასაწყისი უფრო კარპოვისათვის იყო ხელსაყრელი. იგი მსუბუქად, ენერგიულად თამაშობდა. კასპაროვი, პირიქით, ცუდად იწყებდა და სრული ძალით, ცოტნტრი დასჩემდა და ძალიან ხშირად მცდარ გადაწყვეტილებებს იღებდა. მატჩის შემდგომ მსვლელობაში დისონანსი მეშვიდე პარტიამ შეიტანა. კარპოვმა საკმაოდ იოლი მოგება გაუშვა ხელიდან. პარტია ყაიმით დამთავრდა, მაგრამ მას ძლიერი შედეგები მოჰყვა, რაც სწორედ მერვე პარტიაში აისახა. მატჩის კრიზისი, მეთერთმეტე პარტიის შედეგად დაიწყო. პოზიციაში, სადაც კარპოვს მოგებამდე ბევრი აღარაფერი უკლდა (ჟურნალისტები ტელეტაიპებს არ სცილდებოდნენ, რათა კასპაროვის დამარცხება თავიანთი რედაქციებისათვის ეუწყებინათ), მსოფლიოს ექსჩემპიონს წარმოუდგენელი, უმძიმესი შეცდომა მოუვიდა და მან არა მარტო დაკარგა გადამწყვეტი უპირატესობა, არამედ უიმედო პოზიციაშიც კი აღმოჩნდა. შემდეგ პარტიებმა გვაჩვენეს, რომ ამ ფაქტმა არა მარტო კარპოვზე, კასპაროვზეც კი იმოქმედა.

ასე მოვედით მატჩის უკანასკნელ პარტიებამდე, სადაც ყველაფერი ისევე ბუნდოვანია, როგორც თამაშის დასაწყისში.

ჭიფათიანი ტური



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური.

დონეცკი. თბილისის დინამოელებს, რომლებმაც ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს, ჯერ კიდევ ტურის დაწყებამდე მოეცარათ ხელი. სამი წამყვანი კალათბურთელის (კაპუსტინი, სანაძე, ტალაბაძე) ტრავმამ, ცხადია, გუნდის შანსები მინიმუმამდე შეამცირა. მაგრამ ერთ შეხვედრაში იგი, მაინც სულ ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ აქ აშკარად უმტყუნა ბედმა. შაბათის მატჩი მოსკოველ თანაკლუბელებთან მან ორი ქულით დათმო — 89:91 (46:51). კვირას „დინამო“ გათამაშების ლიდერთან ცსკა-სთან დამარცხდა — 90:126 (48:61).

ჯგუფის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი) 112:97 (56:41), „შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 97:87 (49:47).

ტალინი. აღმავლობით ჩაატარა ამ ტურის მატჩები კიევის „სტროიტელმა“. მან სამი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და სატურნირო ცხრილში ერთბაშად მესამე ადგილზე გადაინაცვლა, შაბათსა და კვირას „სტროიტელმა“ დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 77:69 (41:38) და ტალინის „კალევი“ — 87:75 (35:37).

აი, უკრაინის მეორე გუნდი კი (ასკ კიევი) ამ ტურში აშკარად სუსტად თამაშობს. „სტროიტელთან“ წაგების შემდეგ იგი კიდევ ორჯერ დამარცხდა, ჯერ „კალევთან“ — 80:92 (34:40), მერე კი ლენინგრადის „სპარტაკთანაც“ — 68:76 (33:38).

კაუნასი. ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვის გათამაშების მეორე ლიდერი „ჟალგირისიც“, თუმცა... მინსკის რტი-სთან სასურველ შედეგს მან დიდი გაჭირვებით მიაღწია — 84:81 (46:38). შედარებით ადვილად მოუგეს კაუნასელმა კალათბურთელებმა რიგის ვეფ-ს — 104:92 (67:40).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სტატიბა“ (ვილნიუსი) — ვეფ (რიგა) 98:88 (51:43), რტი (მინსკი) — „სტატიბა“ — 82:80 (47:38).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ჭ.
ცსკა	10	10	0	1027-842	20
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	10	10	0	928-811	20
„სტროიტელი“ (კიევი)	10	6	4	869-887	16
„დინამო“ (თბილისი)	10	5	5	886-942	15
ასკ (კიევი)	10	5	5	881-859	15
რტი (მინსკი)	10	5	5	840-838	15
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	10	4	6	831-839	14
„კალევი“ (ტალინი)	10	4	6	830-837	14
ვეფ (რიგა)	10	3	7	907-1002	13
„დინამო“ (მოსკოვი)	10	3	7	855-867	13
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	10	3	7	840-882	13
„შახტიორი“ (დონეცკი)	10	2	8	788-871	12

⊙ კალათბურთი ⊙ კალათბურთი ⊙ კალათბურთი

ჩელენჯერი — ჭკვიანელი



ბერლინი. გაიმართა მოციგურეთა ტრადიციული შეჯიბრება „დინამოს“ თასზე. გამარჯვებულთა გამოსავლენად ამჯერად ერთობ ორიგინალური მეთოდს მიმართეს. ქალთა გარკვეული რაოდენობა ერიცხებოდა სპორტსმენს, რომლის შედეგი მაქსიმალურად მიახლოვებული იყო მსოფლიო რეკორდთან (ან სჯობდა მას). ქალთა შორის გამარჯვება გდრ-ის წარმომადგენელს გუნდა კლემენს ხვდა — მისი შედეგი 1000-მეტრიან დისტანციაზე (1.22,96) მსოფლიო რეკორდის 95,03 პროცენტს შეადგენდა. ვაჟებში პირველი ადგილი მოსკოველ იური კლიუევს ერგო. 5000 მეტრზე ასპარეზობაში იგი მსოფლიო რეკორდს 95,20 პროცენტით მიუახლოვდა.

სოფია. სტუდენტ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა ჩინეთის გუნდის შემდეგ. ჩინელთა გამარჯვებით აღინიშნა ქალთა ტურნირიც, ჩვენებს აქ მხოლოდ მეხუთე შედეგი ჰქონდათ.

რიეკა. იუგოსლავიის ამ ქალაქში ტარდება იუნიორ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენები ნორვეგიელებთან გამარჯვების შემდეგ (23:17) ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვდნენ.

ვალ დიზერი (საფრანგეთი). სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის მრავალ ეტაპზე სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველად ორმა საბჭოთა მოთხილამურემ ათეულში დაიკავა ადგილი: გოლნურ პოსტნიკოვა VI ადგილზე გავიდა, ოლგა კურადჩენკო კი მეათეზე.

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მორიგ ჩემპიონატში, რომელიც ახლახან დაიწყო, 23 გუნდი იასპარეზებს.

ჩემპიონატის სტარტზე, ბუნებრივია, პროგნოზები ბევრია, მიმომხილველთა უმრავლესობა ფავორიტებად შარშანდელ ფინალისტებს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ და „ბოსტონ სელტიქსს“ მიიჩნევს. ეს არცაა გასაკვირი. ეს გუნდები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ნბას ჩემპიონატის ფინალში (მხოლოდ „ჰიუსტონ როკეტსმა“ შესძლო 1986 წელს ამ ტრადიციის დარღვევა), ნბას ჩემპიონის „ლოს-ანჯელესის“ უძლიერესი მოთამაშეა ირვინ „მაჯიკ“ ჯონსონი. იგი არა მარტო ჩინებული გამთამაშებელი, არამედ ბრწყინვალე სნაიპერიცაა. მატჩში საშუალოდ იგი 24 ქულას აგროვებს. ნბა-ს ვეტერანი 40 წლის ქერიმ აბდულ ჯაბარი „ლეიკერსის“ დაცვის სული და გულია. როგორც ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ მან კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ლეიკერსთან“. კარგი სნაიპერული თვისებებით გამოირჩევა „ლეიკერსის“ მცველი ბაირონ სკოტი (192 სმ) და კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში 1984 წლიდანაა. გადამწყვეტ მატჩებს იგი ყოველთვის მაღალ დონეზე ატარებს და ზუსტად ასრულებს მწვრთნელის მითითებებს. სასტარტო ხუთეულში გამოდის კიდევ ორი მოთამაშე ჯეიმზ უორთლი და ა. ს. გრინი. ჯეიმზ უორთლის ხშირად უთამაშია აღმოსავლეთის და დასავლეთის „ოლსტარზის“ მეტად პრესტიჟულ მატჩებში. შედეგების მიხედვით თუ კამპანიელებთ „მაჯიკ“ ჯონსონის შემდეგ მეორე მოთამაშეა გუნდში და საშუალოდ მატჩში 19 ქულას აგროვებს. უორთლი ნბაში 1983 წლიდან გამოდის. ამერიკელი მიმომხილველების აზრით, გრინი ჩინებულად თამაშობს მოწინააღმდეგის კონტრშეტევის დროს და უძლიერესია ფარიდან ასხლტილი ბურთებისათვის ბრძოლაში, გუნდის მწვრთნელია პატ რაილი.

„ბოსტონ სელტიქსის“ ლიდერი, რა თქმა უნდა, სახელგანთქმული ლარი ბერდია (203 სმ). იგი „სელტიქსში“ 1979 წლიდან თამაშობს. ლარი ბერდი „სელტიქსის“ შეტევების სული და გულია. გუნდის მთავარი გამთამაშებელია დენის ჯონსონი (190 სმ). ძალზე გამოცდილი კალათბურთელი — იგი ნბაში 1976 წლიდან თამაშობს. მის გვერდით თამაშობს დენი ეინჯი (191 სმ.), რომლის დებიუტი ნბაში 1981 წელს შედგა. ორივენი შეტევის კარგი ორგანიზატორები არიან. გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელები არიან რობერტ პარიშე (203 სმ., 1976), ბილ უოლტონი (212 სმ., 1974) და კევინ მაკჰეილი (210 სმ., 1980). ამ სამეულის წინაშე ყოველთვის კონკრეტული ამოცანა დგას უზრუნველყოს „სელტიქსის“ ბატონობა ფარქვეშ. ბოლო წლებში გუნდს წარმატებით ხელმძღვანელობს კოლი ჯონსი. როგორც ვხედავთ, ორივე ფავორიტს საკმაოდ ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეები.

ამერიკელი მიმომხილველები ბევრს მსჯელობენ იმის შესახებ თუ ვინ შეიძლება ჩაერიოს „ლეიკერსის“ და „სელტიქსის“ დავაში, მაგრამ ამაზე ზუსტ პასუხს ალბათ, ჩემპიონატის მსვლელობა გაგვცემს, ახლა კი გაგაცნობთ პირველი ორი ტურის შედეგებს. I ტური: „კლივლენდი“ — „ნიუჯერსი“—114:108, „ფილადელფია“ — „ინდიანა“ — 108:105, „ატალანტა“ — „ვაშინგტონი“ — 114:97, „დეტროიტი“ — „ნიუ-იორკი“ — 110:99, „ბოსტონი“ — „მილუოკი“ — 125:108, „დალასი“ — „იუტა“ — 95:93. „ჰიუსტონი“ — „სან-ანტონიო“ — 108:102, „დენვერი“ — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ — 139:93, „ლეიკერსი“ — „სიეტლი“ — 113:109, „საკრამენტო“ — „გოლდენ შტატი“ — 134:106, „პორტლენდი“ — „ფენიქს სანზი“ — 118:104. II ტური: „ბოსტონი“ — „ვაშინგტონი“ — 140:139. „ატალანტა“ — „კლივლენდი“ — 113:105, „ინდიანა“ — „ნიუ-იორკი“ 108:95. „ჩიკაგო“ — „ფილადელფია“ — 104:94. „სან-ანტონიო“ — „დალასი“ — 130:106. „მილუოკი“ — „დეტროიტი“ — 119:105. „იუტა“ — „საკრამენტო“ — 121:100, „პორტლენდი“ — „კლიპერსი“ — 124:99. „სიეტლი“ — „ფენიქს სანზი“ — 112:96, „ლეიკერსი“ — „ჰიუსტონი“ — 101:92. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ორ ტურში მოულოდნელი არაფერი ყოფილა და მასპინძლებმა ყველა მატჩი მოიგეს.

მერაბ კალანდაძე.

ნბა-ს ჩემპიონატის სტარტზე

აერტონ სენას ჯილდოები

თავის მრავალრიცხოვან სპორტულ ჯილდოებს ცნობილმა ბრაზილიელმა ავტომობილისტმა აირტონ სენამ დაუმატა კიდევ ერთი. ამას წინათ ავიაციის მინისტრმა ოტავიო მორეირა ლიმამ სახელოვან სპორტსმენს ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის სპეციალური არმიული მედალი გადასცა.

სენამ ამ მაღალი ჯილდოს მიღებისთვის მადლობა თავისებურად გადაიხადა: პირველი ესკადრილიის მფრინავებისგან „ფ-5“ ტიპის ავიაგამანადგურებელი „ისესხა“ და „უკაცრავადაგუას“ ავტოდრომს რამდენჯერმე გადაუფრინა. ესკადრილიამ, თავის მხრივ, მამაცი სპორტსმენი პილოტის შლემითა და ემბლემით დააჯილდოვა.

მიწაზე დაშვების შემდეგ სენამ განაცხადა, „ყველა ბრაზილიელმა თავისი ქვეყანა ერთხელ მაინც უნდა ნახოს სიმაღლიდან, რათა კიდევ უფრო მეტად შეიყვაროს“.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 9 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; უეფა-ს თასის მერვედფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ვერდერი“ (ბრემენი)— **20.00 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **23.55 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 9 დეკემბერი. უეფა-ს თასის მერვედფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ვერდერი“ (ბრემენი) — **20.00.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380060 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

„ლელოს“ ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივანო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-28, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით ბაგაზეთი კორპუსში: ბოშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 15422